1	<p>ახალი მაღალცეცხლგამძლე მასალების მიღების ტექნოლოგიის დამუშავება ცემენტისა და მეტალურგიული დუმელების მაღალტემპერატურული ზონების ამონაგისათვის,, № AR/102/3-121/14 3საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები. 3—200 ქიმიური ტექნოლოგია. 3-195 ფენიცილოთა მეტალურგია და კომპოზიციური მასალები. 3-121 საინჟინრო მასალათმცოდნეობა</p>	<p>რუსთაველის ფონდი, თანადამფინასებელი ტექნიკური უნივერსიტეტი და ძირულის “ცეცხლგამძლე ნაკეთობათა ქარხანა”</p>	<p>პროფესორი ნ. ნიუარაძე</p>	<p>ზ. კოვზირიძე გ. ტაბატაძე გ. მშვილდაძე გ. ბალახაშვილი</p>
ანოტაცია				
<p>საანგარიშო ეტაპზე შესწავლილია კლინკერზე შემკვრელების დამატებით მიღებული კომპოზიტების ფიზიკურ-ტექნიკური თვისებები, შემკვრელების გავლენის დასადგენად. მათი დანიშნულებაა – შესძინოს მასას საყალიბო თვისებები ნაკეთობის მომზადების დროს და ისეთი მექანიკური სიმტკიცე, რომელიც საკმარისი იქნება დაყალიბებული ნაკეთობის შემდგომი ტექნოლოგიური ოპერაციებისათვის. შერჩეულ იქნა მაგნიუმის სულფატის 25%-იანი ხსნარი, ტექნიკური ლიგნოსულფონატების წყალხსნარი, მეთილცელულოზა და პოლივინილის სპირტი. გარდა ამისა, შემკვრელი ნივთიერების სახით გამოყენებულია წყალი.</p>				

ნიმუშები დაყალიბდა 80მპა წნევით. განისაზღვრა გამომწვარი ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური თვისებები. ყველაზე მეტად გამოირჩევა ნიმუში, რომელიც მომზადდა კლინკერზე შემკვრელის სახით 1%-ანი მეთილცელულოზას წყალხსნარის (10%) დამატებით. სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას არის 453,6მპა, დია ფორიანობა 5,03%-ის ტოლია, ფარდობითი სიმკვრივე 3,34 გ/სმ³, მაშინ როდესაც წყლით დანესტიანებული (10%) იგივე სიდიდეები შესაბამისად ტოლია 192,0 მპა; 18,56 %; 2,92 გ/სმ³.

ნიმუშების სიმტკიცის ზრდა განპირობებულია იმით, რომ მიიღება ნაწილაკების უფრო მკვრივი ჩაწყობა და აგრეთვე იმითაც, რომ მცირდება აირადი ფაზის შემცველობა, რომელიც ნიმუშების დაყალიბებისას სცილდება.

იმავე თვისებებზე დანამატების გავლენის შესასწავლად შერჩეულია სხვადასხვა ნახშირბადშემცველი დანამატი და აგრეთვე ამ თვისებებზე დანამატების რაოდენობის ცვლილების გავლენა.

ნახშირბადიანი მასალები ასრულებს კლინკერის შემკვრელის როლს დაყალიბებისას, დაყალიბების შემდეგ, გამოწვის დროს და გამომწვარი ნაკეთობისთვის. მასალის გამოწვისას ნახშირბადის ნაწილაკები ერთმანეთთან კონტაქტისას წარმოქმნის აგრეგატებს მთელი ნაკეთობის მოცულობაში.

მიღებული შედეგებით დადგენილია დანამატების რაოდენობა და სახეობა. თვისებების გაუმჯობესება და მაღალხარისხოვანი მაღალცეცხლგამძლე კომპოზიტის ფორმირება ხდება გრაფიტის ნაწილების გამოყენებით, მარკით TIMREX KS 6, რომლის კუთრი ზედაპირია 20გ/გ.

II. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზ.კოვზირიძე, ნ.ნიუარაძე, გ.ტაბატაძე, ჯ.ანელი	კერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები	თბილისი, “ტექნიკური უნივერსიტეტი”	385

ანოტაცია

მონოგრაფია შედგება 2 ნაწილისაგან: პირველ ნაწილში განხილულია მასალათა აღნაგობის, კრისტალური სტრუქტურების, ფაზათა გარდაქმნების თეორიული საფუძვლები, ხოლო მეორე ნაწილში განხილულია კერამიკული და პოლიმერული კომპოზიციური

მასალების მიღების ტექნოლოგიები და მათში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესები. კერძოდ მეორე ნაწილის პირველ თავში წარმოდგენილია პრობლემის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი;

მეორე თავში $B_4C-SiC-TiC-Al_2O_3$, $B_4C-BN-SiC-Al_2O_3$ და $B_4C-SiC-BN-TiC-Al_2O_3$ სისტემების ბაზაზე მიღებული კომპოზიტების ტექნოლოგია, ტექნოლოგიურ პარამეტრებსა და მიღებული კომპოზიტების თვისებებს შორის დამოკიდებულება, Al_2O_3 ნანოფენილის გავლენა კომპოზიტების სტრუქტურაზე, MgO , Y_2O_3 დანამატების გავლენის შესწავლა შეცხობის პროცესსა, სტრუქტურასა და შესაბამისად კომპოზიტების თვისებებზე, კომპოზიტების ფაზური შედეგებისა და დადგენა, მიღებული კომპოზიტების მედეგობის განსაზღვრა ექსტრემალურ პირობებში მუშაობის დროს.

შესწავლიდია კომპოზიტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები მაღალი ტემპერატურის პირობებში. მიღებული კომპოზიტების სისალე 800^0C -ზე 11-13გპა-ს შეადგენს, სიმტკიცის ზღვარი დუნგაზე 1000^0C ტემპერატურაზე თითქმის იგივეა, რაც ოთახის ტემპერატურაზე - 340-390გპა.

დადგენილია, რომ მიღებული კომპოზიტები დეფორმაციისა და ბზარების გარეშე უძლებენ თერმიულ დარტყმებს: 800^0C -წყალი, 20 -ზე მეტ ციკლს, მაშინ როცა ტექნიკურმა ფაიფურმა მხოლოდ 5 ციკლს გაუძლო.

გამოცდილია ნიმუშები მაღალი ტემპერატურისა ($\approx 800-900^0C$) და ცვეთის პირობებში. ამ პირობებში მუშაობს საჭრისები სხვადასხვა ძნელად დასამუშავებელი მასალის ჭრით დამუშავებისას. აღნიშნული საჭრისები გამოიცადა ლეგირებული თუკის დასამუშავებლად, სახარატო ჩარხზე $1K62$, შემდეგი ჭრის რეჟიმის პირობებში: ჭრის სიღრმე $t = 1,0\text{მმ}$; მიწოდება $S=0.21$ მმ/ბრ. ცვეთის კრიტერიუმად აღებული იყო ცვეთა საჭრისის უკანა წახნაგზე $h=0,3\text{მმ}$, რაც სუფთად ახარატების მოთხოვნებს შეესაბამება. მედეგობის ცდები ჩატარდა ჭრის სიჩქარეთა გარკვეულ დიაპაზონში. ცდის შედეგების მიხედვით საკვლევი კომპოზიტების მედეგობა არ ჩამოუვარდება სტანდარტულ მჭრელ მასალას "სილინიტ-Р"-ს.

მესამე თავში განხილულია სილიციუმის კარბიდისა და სილიციუმის ნიტრიდის ბაზაზე მაღალცეცხლგამძლე და აგრესიული მედეგების მიმართ მედეგი კომპოზიტის მისაღებად ჩატარებული სამეცნიერო-კვლევის შედეგები. შესწავლიდია სხვადასხვა შემკვრელებისა და დანამატების, BN და Al_2O_3 ნანოფენილის გავლენა კომპოზიტების შეცხობის პროცესებზე, მიღებული კომპოზიტების მიკროსტრუქტურასა და თვისებებზე.

განსაზღვრულია კომპოზიტების მედეგობა მაღალტემპერატურულ კოროზიულ არეში მუშაობის დროს და თერმული და გაზოთერმული დარტყმების მიმართ. მიღებული კომპოზიტის ბაზაზე დამუშავებულია თერმოწყვილის გარსაცმების დამზადების ტექნოლოგია.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, შერნალის/კრებულის დასახელება	შერნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზ. კოვზირიძე, ნ. ნიუარაძე, ნ. დარახველიძე, გ. ტაბატაძე, ზ. მესტვირიშვილი	სიალონშემცველი კომპოზიტის მიღება ნიტროალუმინორერმუ ლი პროცესებით, რეაქციული შეცხობის და ცხელი დაწესებვის მეთოდით	საქართვე- ლოს კერამიკოსთა ასოციაციის შერნალი “კერამიკა” Vol. 18. 1(35), 2016,გვ. 9-19	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77	10
2	ზ. კოვზირიძე, ნ. ნიუარაძე, ა. მიქანაძე, გ. ტაბატაძე	მეტალოკერამიკული კომპოზიტი ლითონების ჭრით დასამუშავებლად	საქართვე-ლოს კერამიკოსთა ასოციაციის შერნალი “კერამიკა” Vol. 18. 1(35), 2016,გვ. 20-29	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77	10
3	ზ. კოვზირიძე ჯ. ჯოგლიძე ნ. ნიუარაძე ხ. ბლუაშვილი	გართვადი ლოკალური პიპერთერმიის მეთოდით სწორი ნაწლავის კიბოსა(პროქტოლოგი ური) და საშვილოსნოს უელის დაავადებების სამკურნალო აპარატი და უსაფრთხოების შესწავლა თეორ ვირთაგვებზე	საქართვე-ლოს კერამიკოსთა ასოციაციის შერნალი “კერამიკა” Vol. 18. 1(35), 2016, გვ. 30-40	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77	11
4	ზ. კოვზირიძე ნ. ნიუარაძე გ. ტაბატაძე	მაღალი სიმტკიცის უვოლფრამო კომპოზიტი TiC-Ni-Fe სისტემაში	საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის შერნალი “კერამიკა” Vol. 19. 2(36),	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77	18

			2016, გვ. 30-40		
5	ა. კომპოზიტი, ბ. ნიჟარაძე, გ. ბალახაშვილი გ. ტაბატაძე, გ. მშვილდაძე	ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე გამომწვარი და გამოუწვავი ცეცხლგამლე ნაკეთობების მიღება	საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ქურნალი “კერამიკა” Vol. 19. 2(36), 2016, გვ. 30-40	საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77	13

ანოტაცია

1. მიღებულია კომპოზიტი ალუმინისილიკატური ნედლეულის ბაზაზე რეაქციული შეცხობის მეთოდით. შესწავლილია კომპოზიტის ფიზიკურ-ტექნიკური თვისებები, ფაზური შედგენილობა. კომპოზიტის ძირითადი ფაზებია: β სიალონი, რომელიც არის კომპოზიტის მატრიცა, სილიციუმის კარბიდი და კორუნდი. დადგენილია, რომ სიალონის (SIALON) მიღება ხდება ნიტროალუმინოვრმული პროცესებით. რეაქციული შეცხობის მეთოდით მიღებული კომპოზიტის შემდგომი დამუშავებით და ცხელი დაწესებით მოხდა კომპოზიტის ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების ნახტომისებრი ზრდა. რაც მასალის გამკვრივების უფრო მაღალმა ხარისხმა განაპირობა. მიღებული კომპოზიტის თვისებებიდან გამომდინარე იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას მაღალტემპერატურული ნაკეთობების დასამზადებლად, კერძოდ: თერმოწყვილების დამცავი გარსაცმების. ღუმლების ამონაგის, მჭრელი ინსტრუმენტების სახით ლითონისა და ქვის დასამუშავებლად.
2. ტიტანის კარბონიტრიდისა და მაღალი ლდობის ტემპერატურის მქონე შემაკავშირებელი ლითონური ფაზის შერწყმით მიღებულია მცირევოლფრამიანი მჭრელი კომპოზიტი დაწესებით და შემდგომი შეცხობით ვაკუუმლუმელში 1600°C ტემპერატურაზე 10^{-3} წნევისას. ფაზური ანალიზი შესწავლილია რენგბენის აპარატზე DRON-3, მიკროსტრუქტურა -ელექტრონულ მიკროსკოპზე NANOLAB-7, მიკროსისალე MUCKE-ს მარკის მიკროსისალის მზომზე. სიმტკიცის ზღვარი ღუნვაზე გაიზომა გამგლეჯ მანქანაზე R-100, საჭრისების შედარებითი მედეგობა შეფასდა ჭრის ერთნაირი რეჟიმების დროს გავლილი მანძილით, ცდები ჩატარებულ იქნა სახარატო ჩარხზე. მიღებული კომპოზიტის ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლებია: σ_დ=1000-1150მპა ს_დ 1000°C =მპა; HV=14გპა; HV_{1000^{\circ}\text{C}}=-6,5გპა. ჭრის მაღალი სიჩქარეებისა და მაღალი ტემპერატურის პირობებში, საკვლევი კომპოზიტით დამზადებული საჭრისების მედეგობა 1,5-ჯერ აღემატება ცნობილ BK8 და KNT20 სალი შენადნობების საჭრისების მედეგობას. მიღებული კომპოზიტის გამოყენება რეკომენდებულია გახურებული ფოლადების ჭრით დამუშავებისას ე.წ. ცხელი ნაწილურების მოხსნისათვის, აგრეთვა ფოლადების ჭრით დამუშავებისას სუფთა და ნახევრადსუფთა ოპერაციებზე.
3. ჩატარებულია ცდები კიბოს პროექტოლოგიური და საშვილოსნოს უელის

დაავადებების წინააღმდეგ მართვადი ლოკალური პიპერთერმიის მეთოდის გამოყენების უსაფრთხოების დასადგენად. ცდები ჩატარებულია ცხოველებზე, პერძოდ 3 თვის ასაკის ალბინოს თაგვებზე.

ექსპერიმენტულ მასალაზე დაყრდნობით, გამოყენებულ იქნა ხელსაწყო „ლეზი”, რომელიც შეიქმნა სტუ-ს ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების მასალათმცოდნეობის ცენტრში. ყველა ცხოველში (ალბინოსი, 3 თვის თაგვები) დაფიქსირდა კიბოს დაავადების შეჩერება და განვითარდა ინტრატუმორული ნეკროზი (საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, საქპატენტი).

დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა 5054. “მართვადი ლოკალური პიპერთერმია და მაგნიტური პიპერთერმია კიბოს დაავადებების სამკურნალოდ”). დადგინდა, რომ 7-10 სეანსის შემდეგ სიმსიცნე დაწყდებულდა, რაც ექსპერიმენტის დადებით შედეგზე მეტყველებს (პათოლოგიურ-ანატომიური

ლაბორატორია „პათჯეოს” დასკვნა. გამოკვლევის №3119-12, პისტოპათოლოგიური გამოკვლევა №15272-13. დიაგნოზის გაცემის თარიღი 14.01.2014 წ., თბილისი, საქართველო). უკნებლობაზე ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდის გამოყენება მკურნალობის პროცესში ცხოველებისათვის უსაფრთხოა.

4. ლითონქერამიკული მასალების ძირითადი მოცულობა დღემდე კოლფრამის ბაზაზე იწარმოება, რომლის მარაგიც თანდათან იწურება. ამასთან დაკავშირებით მეცნიერების წინაშე დგას ამოცანა, შექმნანა ასალი კომპოზიციური მასალები კოლფრამის გარეშე ან შეამცირონ მისი შემცველობა მინიმუმამდე და შეინარჩუნონ ის ფიზიკურ-ტექნიკური და საექსპლუატაციო თვისებები, რაც კოლფრამის ბაზაზე მიღებულ კომპოზიტებს გააჩნიათ. მალეგირებელი დანამატები სხვადასხვანაირად მოქმედებენ, ზოგიერთი აუმჯობესებს კარბიდული შემადგენლის ან ლითონური შემაკავშირებლის თვისებას, ზოგი მნიშვნელოვნად მოქმედებს ფაზათაშორის საზღვრის აღნაგობაზე, უმთავრესად კი კომპოზიტის თვისებას ცვლის მისი სტრუქტურის ცვლილებით. ნაშრომში შესწავლილია რკინის დანამატის გაცლენა TiC-Ni სისტემის კერმეტებზე 20-25მას.% ლითონური შემკვრელის საერთო შემცველობისას. მიღებულია კომპოზიტი დაწესებით და შემდგომი შეცხობით ვაკუუმ დუმელში 1450°C ტემპერატურაზე 10^{-3} მპა წნევისას. ფაზური ანალიზი შესწავლილია რენტგენის აპარატზე DRON-3, მიკროსტრუქტურა – ელექტრონულ მიკროსკოპზე NANOLAB-7, მიკროსისალე MUCKE-ს მარკის მიკროსისალის მზომზე. სიმტკიცის ზღვარი დუნგაზე გაიზომა გამგლევ მანქანაზე R-100, მიღებული კომპოზიტის ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლებია: $\sigma_{\text{დ}}=1600-1800 \text{მპა}$ $\sigma_{\text{დ}1000^{\circ}\text{C}}=550 \text{მპა}$; $\text{HV}=14 \text{გპა}$; $\text{HV}_{1000^{\circ}\text{C}}=2,3 \text{გპა}$. ტიტანის კარბიდისა და რკინა-ნიკელის შემაკავშირებლით მიღებული კომპოზიტის გამოყენება შესაძლებელია, როგორც ჭყრელი მასალა, მისგან შეიძლება დამზადდეს ფილიერები მავთულებისა და მიღების საგლინავად. კომპოზიტს აქვს მაღალი სომტკიცე დუნგისას, მაღალი სისალე HRA 89-90 და მაღალი დარტქმითი სიბლანტე 25 კჯოული/მ², შედარებით დაბალი სიმკვრივე -5,46გ/სმ², რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ეს კომპოზიტი შეიძლება გამოყენებულ იქნას ჯავშანტექნიკაში.
5. ადგილობრივი ნედლეულის კერძოდ დოლომიტ-სერპენტინიტის კლინკერის ბაზაზე დამუშავებულია გამომწვარი და გამოუწვავი ნაკეთობების მიღების ტექნოლოგია.

გამომწვარი ცეცხლგამძლე მასალები ისეთი მასალები - ნაკეთობებია, რომლებიც გამოწვის ტემპერატურაზე იღებენ სასურველ ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს (ფორიანობა, სიმტკიცე, ცეცხლგამძლეობა, თერმული მედეგობა, დეფორმაციის დაწყების ტემპერატურა, მდგრადობა აგრესიული გარემოს ზემოქმედების მიმართ და სხვა).

გამოუწვავი ცეცხლგამძლეები - ნაკეთობებია ცეცხლგამძლე მასალებისა და შემკვრელებისაგან, რომლებიც იღებენ სასურველ თვისებებს შედარებით დაბალ ტემპერატურაზე გამოწვისას.

გამოუწვავი ცეცხლგამძლეები სიმტკიცის მიხედვით ჩამორჩებიან გამომწვარი ნაკეთობებისას, მაგრამ თერმული მედეგობით აღემატებიან გამომწვარი ცეცხლგამძლეების თერმულ მედეგობას. გამოწვის ტემპერატურის ზევით, ისინი იკრებენ სიმტკიცეს და სხვა თვისებებს, მხოლოდ ჩაჯდომის სიდიდის მაჩვენებელი უნდა იყოს უმნიშვნელო, რომ არ გამოიწვიოს წყობის დაზიანება. ამიტომ ჩვენი ექსპერიმენტის ჩატარებისას ყურადღება გავაძახვილეთ ორ ძირითად მაჩვენებელზე: 1. სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას და 2. ჩაჯდომა. ჩვენს მიერ მიღებული მასალების ჩაჯდომის მაჩვენებელი და სიმტკიცე უზრუნველყოფს ამონაგის მკვრივი წყობის მიღებას და საუკეთესო ექსპლუატაციის პირობებს.

მიღებული გამომწვარი და გამოუწვავი ცეცხლგამძლე ნაკეთობები გამოირჩევიან მაღალი ფიზიკურ-ტექნიკური თვისებებით. შესაძლებელია ისინი გამოყენებულ იქნას ცემენტის გამოსაწვავი მბრუნვავი დუმელების და მეტალურგიული თბური დანადგარების მაღალტემპერატურული ზონების ამონაგისათვის.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ეურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გერდების რაოდენობა
1	Z. Kovziridze, N. Nizharadze, N. Daraxvelidze G. Tabatadze, E. Nikoleishvili, M. Mshvildadze	Preparation of Composites by Nitro Aluminothermic Processes, over β -SiAlON Matrix in the SiAlON-SiC-Al ₂ O ₃ System	2016,6, 62-77	USA, Delaware	16

		Journal of Electronics Cooling and Thermal Control			
2	Z.Kovziridze, N.Nizharadze, A.Mikanadze, G.Tabatadze E.Nikoleishvili, M.Mshvildadze	Metal-ceramic composites for metal treatment by cutting in Ti(C,N)-Ni-Mo-W system Journal of Electronics Cooling and Thermal Control	2016,6, 42-51	USA, Delaware	10

ანოტაცია

1. სამუშაოს მიზანია სიალონშემცველი კომპოზიტის მიღება ნიტროალუმინოვალი პროცესებით, რეაქციული შეცხობის და ცხელი დაწესების მეთოდით. კომპოზიტი CH-6 მიღებულია რეაქციული შეცხობის მეთოდით და შემდგომი ცხელი დაწესებით ვაკუუმ დუმელში 1600°C -ზე 30 მპა წნევით, ბოლო ტემპერატურაზე $10-12$ წთ. დაყოვნებით. პრეპურსორი მომზადდა თერმოსტატში 150°C -ზე, ცივად დაიწესა 12-15 მპა-ზე და 20-25 მპა-ზე.

ჩატარებულია ცხელი დაწესებით მიღებული ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური თვისებების კვლევა. მექანიკური მაჩვენებლები შეადგენს: სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას 1640 მპა, სიმტკიცის ზღვარი დუნგისას 190 მპა; დრეკადობის მოდული 199,5 გპა; HV- 1140 გპა.

რენტგენოსტრუქტურული, ელექტრონულ-მიკროსკოპიული და მიკრორენტგენოსპექტრული ანალიზით შესწავლილია მიღებული კომპოზიტის მიკროსტრუქტურა და ფაზური შედგენილობა. დადგენილია კომპოზიტის შედგენილობა, რომლის ძირითადი ფაზებია: β -სიალონი, კორუნდი და სილიციუმის კარბიდი.

მიღებული კომპოზიტი CH-6 ხასიათდება მაღალი ფიზიკურ-ტექნიკური თვისებებით: მაღალი სისალით, სიმტკიცით და სიმტკიცით.

2. ტიტანის კარბონიტრიდისა და მაღალი ლდობის ტემპერატურის მქონე შემაკავშირებელი ლითონური ფაზის შერწყმით მიღებულია მცირევოლფრამიანი მჰრელი კომპოზიტი დაწესებით და შემდგომი შეცხობით ვაკუუმდლუმელში 1600°C ტემპერატურაზე 10^{-3} მპა წნევისას. ფაზური ანალიზი შესწავლილია რენტგენის აპარატზე DRON-3, მიკროსტრუქტურა - ელექტრონულ მიკროსკოპზე NANOLAB-7, მიკროსისალე MUCKE-ს მარკის მიკროსისალის მზომზე. სიმტკიცის ზღვარი დუნგის გაიზომა გამგლეჯ მანქანაზე R-100, საჭრისების შედარებითი მედეგობა შეფასდა ჭრის ერთნაირი რეჟიმების დროს გავლილი განძილით, ცდები ჩატარებულ იქნა სახარატო ჩარხზე. მიღებული კომპოზიტის ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლებია: $\sigma_{\text{დ}}=1000-1150$ მპა $\sigma_{\text{დ}1000^{\circ}\text{C}}=$ მპა; HV=14 გპა; HV_{1000^{\circ}\text{C}} = 6,5 გპა. ჭრის მაღალი სიჩარეებისა და მაღალი

ტემპერატურის პირობებში, საკვლევი კომპოზიტით დამზადებული საჭრისების მედეგობა 1,5-2-ჯერ აღემატება ცნობილ BK8 და KNT20 სალი შენადნობების საჭრისების მედეგობას. მიღებული კომპოზიტის გამოყენება რეკომენდებულია გახურებული ფოლადების ჭრით დამუშავებისას ე.წ. ცხელი ნაწიბურების მოხსნისათვის, აგრეთვე ფოლადების ჭრით დამუშავებისას სუფთა და ნახევრადსუფთა ოპერაციებზე.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ბ) უცხოეთში

Nº	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Z.Kowziridze, N.Nijaradze, G.Tabatadze, N.Darakhvelidze, Z.Mestvirishvili	Smart Materials in System SIALON-SiC-Al ₂ O ₃ -TiB ₂ - ZrB ₂ .	Marth 4-6, 2016, Singapore, BITs2nd Annual World Congress of Smart Materials(WCSM)-2016
2	Z.Kovziridze, N.Nijaradze, M.Balakhashvili, G.Tabatadze, M.Mshvildadze	Sintered and non-sintered refractory objects on the base of local raw material	Marth 4-6, 2016, Singapore, BITs2nd Annual World Congress of Smart Materials(WCSM)-2016
3	Kowziridze Zviad, Bluashvili Xatia	Apparatus for treatment of proctologic (rectum) and cervix uterus cancer diseases by the method of local controlled hyperthermia	August 21-25, 2016 , Dresden, Germany 6th International Congress on Ceramics
4	Kowziridze Zviadi, Nijharadze Natela, Mestvirishvili Zviadi, Balakhashvili Maia.	Composite for high temperature bedding of cement and metallurgical furnaces	August 21-25, 2016 , Dresden, Germany 6th International Congress on Ceramics

ანოტაცია

- რეაქციული შეცხობის მეთოდით 1450°C-ზე, გეოპოლიმერის (გაოლინი), ალუმინის ნანო-ფენილის, სილიციუმის, ალუმინის ოქსიდის, სილიციუმის კარბიდის, იტრიუმის, მაგნიუმის ოქსიდების და მინისებური პერლიტის (არაგაცი, სასომხეთი) მცირე დანამატებით მიღებულია სიალონ შემცველი ნანო-კომპოზიტი. კომპოზიტი მიღებულია რეაქციული შეცხობის მეთოდით 1450°C-ზე ალუმოთერმული და აზოტირების პროცესით აზოტის გარემოში. ამ

მეთოდის უპირატესობაა ის, რომ ახლად დაყალიბებულ ნიმუშში თერმიული დამუშავების პროცესში ურთიერთქმედების შედეგად: Si_3N_4 , Si, ALN უფრო რეაქციისუნარიანი არიან და SiAlON –ს შედარებით დაბალ $1300 - 1350^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე. აღსანიშნავია, რომ $\text{a-Al}_2\text{O}_3$ და ALN ჩანერგა $\beta\text{-Si}_3\text{N}_4$ –ის კრისტალურ მესერში შედარებით ადგილია აღნიშნულ ტემპერატურულ ინტერვალში, როდესაც Si_3N_4 –ის მესერი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. უნდა აღნიშნოს ისიც, რომ SiAlON – ის სიმაგრე და კოროზიული მედეგობა იმატებს სილიციუმის კარბიდის და კორუნდის შემცველობით კომპოზიტში.

ნაშრომში წარმოდგენილია SiC - SiAlON Al_2O_3 - SiAlON და $\beta\text{-SiAlON}$ - ის ფორმირების პროცესები კომპოზიტში და აღწერილია მათი ფიზიკური და ტექნიკური თვისებები. დია ფორმიანობა მიღებული მასალებისა ტოლია ნაკლებია $0,5\%$. სიმაგრე როკველით $\text{HRA}=94$; $\text{HV}=18$ გპა; მექანიკა დუნგაზე $500-550$ მპა. ფაზური შედგენილობა შესწავლილია რენტგენოსტრუქტურული ანალიზით, ოპტიკური და ელექტრონულ-მიკროსკოპიული ანალიზებით.

2. გამომწვარი ცეცხლგამძლე მასალები ისეთი მასალებია-ნაკეთობები, რომლებიც გამოწვის ტემპერატურაზე იღებენ სასურველ ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს (ფორმიანობა, სიმტკიცე, ცეცხლგამძლეობა, თერმული მედეგობა, დეფორმაციის დაწყების ტემპერატურა, მდგრადობა აგრესიული გარემოს ზემოქმედების მიმართ და სხვა).

გამოუწვავი ცეცხლგამძლეები-ნაკეთობებია ცეცხლგამძლე მასალებისა და შემკვრელებისაგან, რომლებიც იღებენ სასურველ თვისებებს შედარებით დაბალ ტემპერატურაზე გამოწვისას.

გამოუწვავი ცეცხლგამძლეები სიმტკიცის მიხედვით ჩამორჩებიან გამომწვარი ნაკეთობებისას, მაგრამ თერმული მედეგობით აღემატებიან გამომწვარი ცეცხლგამძლეების თერმულ მედეგობას. გამოწვის ტემპერატურის ზევით, ისინი იკრებენ სიმტკიცეს და სხვა თვისებებს, მხოლოდ ჩაჯდომის სიდიდის მაჩვენებელი უნდა იყოს უმნიშვნელო, რომ არ გამოიწვიოს წყობის დაზიანება. ამიტომ ჩვენი ექსპერიმენტის ჩატარებისას გავამახვილეოთ ფურადლება ორ ძირითად მაჩვენებელზე: 1. სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას და 2. ჩაჯდომა.

ადგილობრივი ნედლეულის კერძოდ დოლომიტ-სერპენტინიტის კლინკერის ბაზაზე მიღებულია და დამუშავებულია გამომწვარი და გამოუწვავი ნაკეთობების მიღების ტექნოლოგია.

მიღებული გამომწვარი და გამოუწვავი ცეცხლგამძლე ნაკეთობები გამოირჩევიან მაღალი ფიზიკურ-ტექნიკური თვისებებით. შესაძლებელია ისინი გამოყენებულ იქნას ცემენტის გამოსაწვავი მბრუნავი ლუმელების და მეტალურგიული თბური დანადგარების მაღალტემპერატურული ზონების ამონაგისათვის

3. შესწავლილია ჰიპერთერმიის მონოთერაპიული ეფექტი კიბოს პროქტოლოგიური და

საშვილოსნოს ყელის დაავადებების წინააღმდეგ. მართვადი ლოკალური ჰიპერთერმიის მეთოდის განვითარებისათვის, ექსპერიმენტულ მასალაზე დაყრდნობით, გამოყენებულ იქნა სელსაწყო „ლეზი”, რომელიც შეიქმნა სტუ-ის ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების

მასალათმცოდნეობის ცენტრში. ყველა ცხოველში (ალბინოსი, 3 თვის თაგვები) დაფიქსირდა კიბოს დაავადების შეჩერება და განვითარდა ინტრატუმორული ნეკორზი (საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, საქპატენტი. დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა 5054. “მართვადი ლოკალური პიპერთერმია და მაგნიტური პიპერთერმია კიბოს დაავადებების სამკურნალოდ”). დადგინდა, რომ 7-10 სეანსის შემდეგ სიმსივნე დაწყდებლდა, რაც ექსპერიმენტის დადებით შედეგზე მეტყველებს (პათოლოგიურ-ანატომიური ლაბორატორია „პათჯეოს“ დასკვნა. გამოკვლევის №3119-12, პისტოპათოლოგიური გამოკვლევა №15272-13. დიაგნოზის გაცემის თარიღი 14.01.2014 წ., თბილისი, საქართველო). უვნებლობაზე ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდის გამოყენება მკურნალობის პროცესში ცხოველებისათვის უსაფრთხოა.

ამ პრეზენტაციამ პირველი ადგილი აიღო კერამიკოსთა მე-6 საერთაშორისო კონგრესზე გერმანიაში და დაჯილდოვდა პირველი ადგილის პრიზით სიგელით-კონგრესში მონაწილეობდა 47 ქვეყანა, მომხსენებელთა რაოდენობა 632.

4. შესწავლილია კლინკერზე შემკვრელების დამატებით მიღებული კომპოზიტების ფიზიკურ-ტექნიკური თვისებები, მათი გავლენის დასადგენად. მათი დანიშნულებაა – მისცეს მასას საყალიბო თვისებები ნაკეთობის მომზადების დროს და ისეთი მექანიკური სიმტკიცე, რომელიც საკმარისი იქნება დაყალიბებული ნაკეთობის შემდგომი ოპერაციებისათვის. შერჩეულ იქნა მაგნიუმის სულფატის 25%-იანი ხსნარი, ტექნიკური ლიგნოსულფონატების წყალხსნარი, მეთილცელულოზა და პოლივინილის სპირტი. გარდა ამისა, შემკვრელი ნივთიერების სახით გამოყენებულია წყალიც.

ნიმუშები დაყალიბდა 80მპა წნევით. განისაზღვრა გამომწვარი ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური თვისებები. ყველაზე მეტად გამოირჩევა ნიმუში, რომელიც მომზადდა კლინკერზე შემკვრელის სახით 1%-ანი მეთილცელულოზას წყალხსნარის (10%) დამატებით. სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას არის 453,6მპა, ლია ფორიანობა 5,03%-ის ტოლია, ფარდობითი სიძკვრივე 3,34გ/სმ³, მაშინ როდესაც წყლით დანესტიანებული (10%) იგივე სიდიდები შესაბამისად ტოლია 192,0მპა; 18,56%; 2,92გ/სმ³.

ნიმუშების სიმტკიცის ზრდა განპირობებულია იმით, რომ მიიღება ნაწილაკების უფრო მკვრივი ჩაწყობა და აგრეთვე იმითაც, რომ მცირდება აირადი ფაზის შემცველობა, რომელიც ნიმუშების დაყალიბებისას სცილდება.

იმავე თვისებებზე დანამატების გავლენის შესასწავლად შერჩეულია სხვადასხვა ნახშირბადშემცველი დანამატი და აგრეთვე ამ თვისებებზე დანამატების რაოდენობის ცვლილების გავლენა.

ნახშირბადიანი მასალები ასრულებს კლინკერის შემკვრელის როლს დაყალიბებისას, დაყალიბების შემდეგ, გამოწვის დროს და გამომწვარი ნაკეთობისთვის. მასალის გამოწვისას ნახშირბადის ნაწილაკები ერთმანეთთან კონტაქტისას წარმოქმნის აგრეგატებს მთელი ნაკეთობის მოცულობაში.

მიღებული შედეგებით დადგენილია დანამატების რაოდენობა და სახეობა. თვისებების გაუმჯობესება და მაღალხარისხოვანი მაღალცეცხლგამძლე კომპოზიტის

ფორმირება ხდება გრაფიტის ნანოფენილის გამოყენებით, მარკით TIMREX KS 6, რომლის კუთრი ზედაპირია $20^2/3$. შექმნილია სრულიად ახალი ინოვაციური ტექნოლოგია ცემენტისა და მეტალურგიული ქარხნების მაღალტემპერატურული დუმელებისათვის. ეკონომიკური ეფექტი მხოლოდ საქართველოს მასშტაბით შეადგენს 9,2 მილიონ ევროს.

9. ზოგადი ორგანული ქიმიის მიმართულება

**სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელები: პროფესორი მარიამ ხომასურიძე,
პროფესორი ზურაბ გელიაშვილი**

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: დოქტორანტი- 2

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

Nº	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ქურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გეერდების რაოდენობა
1	მ. მესხიძე, მ. ხომასურიძე, ზ.გელიაშვილი	„ფერის ინტენსი- ვობის, ფერის ტონე- ბისა და საერთო ფენოლური ნაერთე- ბის შესწავლა ქვევრის სხვადასხვა ტექნოლოგიური მეთოდებით დაყენებულ დვინოებში“;	საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტუალი” № 312016 წ. გვ. 220-227.	თბილისი	7
2	ჭკუასელი ლ.მ., გელიაშვილი	ოქსიდაციის პრეცენცია	საქართველოს საინჟინრო	თბილისი	7

	ზ.ქ, ხომასურიძე მ.პ., მესხიძე მ.ზ.	„ცოლიკოური“-ს ჯიშის ყურძნისაგან დვინომასალების წარმოებისას.	სიახლეები. GEORGIAN ENGINEERING NEWS. №1(77), 2016; გვ. 102-109.		
3	ჭკუასელი ლ.პ., გელიაშვილი ზ.ქ, ხომასურიძე მ.პ.	ოქსიდირებული დვინის დამუშავება.	საქართველოს ქიმიური ჟურნალი №1, 2016; გვ. 92-98.	თბილისი	7
1. ფერის ინტენსიური გობის, ფერის ტონებისა და საერთო ფენო ლური ნაერთების შესწავლა ქვევრის სხვადა სხვა ტექნოლო გიური მეთოდე ბით დაყენებულ დვინოებში.					
<p>აკლევის მიმდინარეობისას დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ენდემური ჯიშებიდან: „ჩხავერის“, „ოჯალეშის“, „ოცხანური საფერესა“ და „ალადასტურისაგან“ ქვევრი დვინი დაყენების სხვადასხვა წესით დამზადდა მშრალი დვინომასალები. საკვლევ ნიმუშებში ტექნოლოგიური პროცესის სხვადასხვა ეტაპზე შესწავლილი იქნა ფერის ინტენსივობა, ფერის ტონი და საერთო ფენოლების შემცველობა. ექსპერიმეტისას გამოყენებული იქნა ავსტრიული წარმოების ფოტომეტრი I83742, ხელსაწყოსადმი თანდართული და რეკომენდირებული მეთოდების გამოყენებით. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით დადგენილია, რომ დავარგების ხანგძლივობის ზრდასთან ერთად, ფერმენტაციისას ჭაჭის სრულდად, ნაწილობრივი მონაწილეობით და ჭაჭის გარეში დადუღებულ დვინომასალებში საშუალოდ 10-20%-ით მცირდება საერთო ფენოლების შემცველობა. ქვევრში დვინის დადუღება, 6 თვით დაყოვნება ჭაჭისზე და ჭაჭიდან მოხსნის შემდგომ ქვერშივე 6 თვიანი დავარგება ხელს უწყობს ფერის ინტენსივობის და ფერის ტონის შენარჩუნებას. ქვევრში 6 თვე დავარგებულ და ქვევრიდან ამოღების შემდგომ 6 თვით დავარგებულ დვინომასალებში ფერის პარამეტრი-ფერის ტონი ნარჩუნდება წითელი დვინისათვის დამახასიათებელი ზღვრების (ნაკლები 1,2-ზე) ფარგლებში, მაგრამ ფერის პარამატრების ეს მაჩვენებლები შესამჩნევად უმჯობესია ქვევრშივე 6 თვით დავარგებულ დვინომასალებში.</p> <p>2. „ოქსიდაციის პრევენცია ცოლიკოურის ჯიშის ყურძნისაგან დვინომასალების წარმოებისას“.</p> <p>2015 წლის მოსავლის წლის ცოლიკოურის ყურძის ჯიშიდან საკვლევი ნიმუშები დამზადდა დვინის საწარმო „ტიფლისკი ვინჩი პოგრებში“. ფერმენტაცია განხორციელდა საფუვრის წმინდა კულტურის გამოყენებით. ბოტრიტისისათვის დამახასიათებელი დამუანგავი ფერმენტების ინაქტივაციისათვის, ტკიბილის ოქსიდაციისაგან დასაცავად და ოქსიდირებული ნაერთების მოსაშორებლად, ტბილის დაწყდომის ეტაპზე გამოყენებული იქნა სკორბინის მჟავა, მუხის ტანინი, პოლივინილპოლიპიროლიდონი, ყურძნის ტანინი და კომერციული პრეპარატი Qi-NO[Ox]. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით დადგინდა ექსპერიმენტისას გამოყენებული ცალკეული მასალის ეფექტურობა და მათი მოხმარების</p>					

მიზანშეწონილობა. ექსპერიმენტის მიმდინარეობისას შემუშავებული იქნა კეთილშობილი სიდამპლიო დაგვადებული „ცოლიკოური“ -ს ჯიშის ყურძნისაგან დვინის წარმოებისას, ოქსიდაციისაგან პრევენციის ოპტიმალური ტექნოლოგიური სქემა.

3. „ოქსიდირებული დვინის დამუშავება“

ექსპერიმენტის მიმდინარეობისას, კახური წესით დამზადებული ოქსიდირებული დვინომასალა დამუშავებული იქნა სხვადასხვა მასალების გამოყენებით. საკვლევ და საკონტროლო ნიმუშებში განისაზღვრა ფიზიკუ-ქიმიური პარამეტრები, ასევე განხორციელდა ორგანოლეპტიკური შეფასება. მედებულ შედეგებზე დაყრდნობით დადგენილია რომ, პოლივინილპიროლიდონის, კაზეინისა და ბენტონიტის კომპლექსური გამოყენება აუმჯობესებს ოქსიდირებული დვინის ფერს, აცილებს ყავისფერ შეფერილობას, ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებს, გადამწიფებული ხილის/ხერესის ტონებს, 28%-ით ამცირებს აქროლადი მჟავების შემცველობას, 35%, ალდეპიდების და 18%-ით ეთილაცეატატის მასის კონცენტრაციას. ცილატანატების და სხვა ნაერთების დალექვის ხარჯზე 16,9 % ამცირებს დაყვანილი ექსტარქტის მასის კონცენტრაციას. Qi-NO[Ox] გამოყენება ოქსიდირებული დვინის დასამუშავებლად აუმჯობესებს ფერს-დვინოს აცილებს ყავისფერ შეფერილობას, 17,3 %-ით ამცირებს აქროლადი მჟავების და და 23%-ით ალდეპიდების შემცველობას. ცილატანატების და სხვა ნაერთების დალექვის ხარჯზე 9,5 % ამცირებს დაყვანილი ექსტარქტის მასის კონცენტრაციას. Qi-NO[Ox]-თ დამუშავება დვინის შესძინა სახამებლისათვის დამახასიათებელი გარეშე გემოს.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომსხენებელი/ მომსხენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ჭკუასელი ლ; ხომასურიძე მ.; გელიაშვილი ზ.	თეორი დვინის ოქსიდაციის პრევენცია და დაუანგული დვინის ანტიოქსიდანტებით და სხვადასხვა მასალით დამუშავების ოპტიმალური ტექნოლოგია“	„სტუდენტთა 84-ე დია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2016 წლის 15 ივნისი.
2	მესხიძე მ; ხომასურიძე მ.; გელიაშვილი ზ.	საქართველოს ავტოქტონური ვაზის ჯიშების ალადასტურის, ოჯალეშის, ოცხანური საფერეს და	სტუდენტთა 84-ე დია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

		ჩხავერის ყურძნიდან ქარ- თული (კახური) წესით დაყენებული ღვინის ფენო- ლური ნაერთები“.	თბილისი 15 ივნისი.	2016	წლის
--	--	--	-----------------------	------	------

ანოტაცია

1. „თეთრი ღვინის ოქსიდაციის პრევენცია და დაუანგული ღვინის ანტიოქსიდანტებით და სხვადასხვა მასალით დამუშავების ოპტიმალური ტექნოლოგია“

შესწავლით თეთრი ღვინის ოქსიდაციის პრევენციის და ოქსიდირებული ღვინომასალების გამოსწორების მეთოდები „ცოლიკოური“-სა და „რქაწითელის“ ყურძნის ჯიშებისაგან მიღებული ღვინომასალების მაგალითზე. კვლევისას გამოყენებული იქნა სხვადასხვა დამხმარე მასალები: კალიუმის მეტაბისულფიტი, ტანინი, PVPP (პოლივინილპოლიპიროლიდონი), კაზეინი, ბენტონიტი, Qi-No-Ox და კომერციული პრეპარატი ასკორბინმჟავა.

საკვლევ და საანალიზო ნიმუშებში განსაზღვრულია სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები. დადგენილია: ასკორბინის მჟავისა და კალიუმის მეტაბისულფიტის კოპლექსური გამოყენების ეფექტურობა ოქსიდირებული ღვინომასალის ორგანოლეპტიკური თვისებების გასაუმჯობესების მიზნით; ტანინისა და კადეფიტის კომპლექსური გამოყენება ღვინომასალის ოქსიდაციისაგან დასაცავად. ტანინისა და კადეფიტის კომპლექსური გამოყენება, სხვა მასალებთან შედარებით, ნაკლებად იწვევს ეთანოლის და ტიტრული მჟავების კონცენტრაციის კლებასა და აქროლადი მჟავების, ეთოლაცეტატის, ეთერების, უმაღლესი სპირტების, ალდეპი დების მასის კონცენტრაციის ზრდას. ოქსიდაციისათვის დამახასიათებელი ფერის ინტენსივობისა და სხვა ფიზიკურ-ქიმიურ პარამეტრებზე დაყრდნობით, Qi-No-Ox და PVPP -კაზეინით დამუშავებული ღვინომასალები ყველაზე კარგად პასუხობენ კვლევის მიერ დასახულ მიზანს. შემუშავებულია პრევენციისა და დამუშავების რაციონალური ტექნოლოგიური სქემები.

2. „საქართველოს ავტოქტონური ვაზის ჯიშების ალადასტურის, ოჯალეშის, ოცხანური საფერეს და ჩხავერის ყურძნიდან ქართული (კახური) წესით დაყენებული ღვინის ფენოლური ნაერთები“.

დასავლეთ საქართველოს ენდემური ვაზის ჯიშებიდან ოჯალეშის, ჩხავერის, ალადასტურისა და ოცხანური საფერეს ყურძნის ჯიშებიდან ქვევრში დაყენების ტრადიციული მეთოდებით დამზადებული იქნა ღვინის ნიმუშები. ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები, რეზვერატროლის, ქვერცხებინისა და მირეცეტინის შემცველობა განსაზღვრული იქნა დინამიკაში. დადგენილია, რომ „ოცხანური საფერე“ გამოიწვევა ქვერცეტინისა და მირეცეტინის მაღალი შემცველობით, ხოლო „ოჯალეში“, ცის-რეზვერატროლისა და საერთო ფენოლების. გამოყენებული ყურძნის ჯიშებიდან დამზადებულ ღვინომასალებში ტრანს-რეზვერატრო ლის მასის კონცენტრაცია აღემატება ცის-რეზვერატროლისას. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, ცალკეული ყურძნის ჯიშის შემთხვევაში, შემუშავებულია ფენოლური და პოლიფენოლური ნაერთებით მდიდარი ქვევრის ღვინის დამზადების რაციონალური ტექნოლოგიური ოპერაციები.

10. სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულება

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფ. რ. ხუციშვილი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: 8

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/ კრებულის დასახელება	შერნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რ.ხუციშვილი, ე.სადალაშვილი, რ. ცაგარელი	ჭვავ-ხორბლის პური ბიოლოგიურად აქტიური დანამატების დამატებით/ „კვების მრეწველობის საწარმოთა მოწყობილობების „ კათედრის დაარსების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - კვების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები	შრომების კრებული	თბილისი 2016 წ.	5
2	რ. ხუციშვილი, ე. სადალაშვილი, თ. შაკაია	ვაშლის კონცენტრატი და ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი/საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია /კვების მრეწველობის ტექნოლოგიური	საქართველოს საინჟინრო აკადემია შრომების კრებული	თბილისი 2016 წ.	5

		პროცესების და მოწყობილობების პრობლემები			
3	რ.ხუციშვილი, ე. სადაღაშვილი, თ. შაკაია	სტაფილოს კონცენტრატი და ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი/საერთაორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია /ფუნქციური დანიშნულების კვების პროდუქტების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები	შრომების კრებული	თბილისი 2016 წ.	3
4	რ.ხუციშვილი, ე. სადაღაშვილი, თ. კოვზირიძე	სტევია, როგორც ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის ნედლეული/	საქართველოს ქიმიური ჟურნალი № 1	თბილისი- 2015 წ.	5
5	ზ.სიმონიშვილი, ა. გოგიბერიძე, დ. ჩიკაშვილა. ვ. ჩინჩალაძე	ნატრიუმის ქლორიდის გამოყენებით დაბალფოსფორიანი მანგანუმის კონცენტრატის მიღება	საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალი „კერამიკა“ V . 18. 1(37).2016.	თბილისი	4
6	პაპუნიძე ბ. კობახიძე მ. ხოსიტაშვილი მ. ოშაყმაშვილი ც. ასაშვილი ა.	საფუარის შერჩევა და მისი გავლენა ღვინის ხარისხზე	აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენცია 2016 წ .	ქუთაისი	3
7.	ხოსიტაშვილი მ. გორდელაძე მ. ბუიშვილი გ. ღოღობერიძე ს. ოშაყმაშვილი ც.	ვაზის ჯიშის „ხიხვი“-ს ყურძნიდან ფერმენტირებულ ჭაჭაზე დამზადებილ ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინის სპექტროფოტომეტრული	Internacional jurnal of engenering and selentific research # 2, 2006 წ.	თბილისი	5

		ანალიზი			
8.	მ. მეკონსკაია გ. მაისურაზე	ფერმენტების თვისებების შესწავლა და მათი გამოყენება ბაცი ფერის ლუდის ტექნოლოგიურ პროცესში	საწართველოს კერამიკოსთა ასოციაციის „ჟურნალი „კერამიკა“, vol.18. # 2 , 2016 წ.	თბილისი	6
ანობაცია					
<p>1. სტატია ეხება მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების გამოყენებას პურის ტექნოლოგიაში. ექსპერიმენტულად შექმნილია ფუნქციური დანიშნულების ახალი ჭვავხორბლის პურის სახეობები, სადაც დანამატებად გამოყენებულია ყვითელი ოსპის ფქვილი, წითელი ოსპის ფქვილი, წიწიბურას ფქვილი და ბარდას ფქვილი.</p> <p>მიღებული პროდუქტის ფიზიკო-ქიმიური კვლევების საფუძველი გვაძლევს საშუალებას გავაფართოოთ ქსელი ფუნქციური დანიშნულების პროდუქციის ასორტიმენტით.</p>					
<p>2. ჩატარებული კვლევებითა და შედეგებით მიღებულ იქნა ვამლების („ანტონოვკა“ და „შაფრანი“ მშრალი კონცენტრატები, რომელთა ერთობლივი გამოყენება მოხდა საკონდიტრო წარმოების სფეროში, კონკრეტულად კი ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის-კრევერის წარმოებაში; შემუშავებულ იქნა ახალი რეცეპტურა, რომელიც ამდიდრებს პროდუქტს მიკრონუტრიენტებით, რაც იძლევა საშუალებას გავაფართოოთ ფუნქციური დანიშნულების პროდუქციის ასორტიმენტი.</p>					
<p>3. ჩატარებული კვლევებითა და შედეგებით მიღებულ იქნა სტაფილოს მშრალი კონცენტრატი, რომელიც გამოვიყენეთ საკონდიტრო წარმოების სფეროში, კონკრეტულად კი ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის- კექსის წარმოებაში; შემუშავებულ იქნა ახალი რეცეპტურა, რომელიც ამდიდრებს პროდუქტს ნახშირწყლების, უჯრედისის, პექტინური და მინერალური ნივთიერებების, ვიტამინების, ორგანული მჟავების, ეთერზეობისა და სხვა სასიცოცხლო ელემენტებით. დაც იძლევა საშუალებას გავაფართოოთ ქსელი ფუნქციური დანიშნულების პროდუქტის ასორტიმენტით.</p>					
<p>4. ჩატარებული კვლევებისა და შედეგების შეჯერებით გამდიდრებულია პერსპექტიული მიმართულება საკონდიტრო წარმოების სფეროში კონკრეტულად კი ფუნქციური დანიშნულების ფქვილოვანი საკონდიტრო წარმოების შექმნის მიმართულებით, მიღებულია ახალი რეცეპტურა ბიოლოგიურად აქტიური დანამატების გამოყენებით, განსხვავებული ქიმიური შემადგენლობით, ტექნოლოგიური და ფიზიოლოგიური თვისებებით. რაც იძლევა საშუალებას ეფექტურად გამოვიყენოთ ბუნებრივი მცენარეული ნედლეული და გავაფართოოთ ქსელი ფუნქციური დანიშნულების პროდუქტის ასორტიმენტით.</p>					

5. სამუშაოს მიზანია დარიბი მანგანუმის მადნისაგან დაბალფოსფორიანი კონცენტრატის მიღება, რომელიც გამოდგება მეტალურგიულ მრეწველობაში. მეთოდი ითვალისწინებს ძვირად ღირებული მადეფოსფორებელი რეაგენტების ნაცვლად ბურებრივი იაფი ნატრიუმის ქლორიდის გამოყენებას. ჩვენს მიერ ჩატარებული ცდებით მიღებული კონცენტრატი გამოდგება სტანდარტული მეტალის მისაღებად;
6. ალკოჰოლური დუღილი ღვინის მიღების ერთ-ერთი გადამწყვეტი პროცესია და მისი შედეგები დამოკიდებულია მასში მონაწილე საფუარზე; კვლევის მიზანს წარმოადგენდა ღვინის ხარისხის რეგულირება სხვადასხვა საფუვრების წმინდა კულტურების გამოყენებით; დადგინდა, რომ კულტურული საფუარით მიღებული ღვინო-მასალა გამოირჩეოდა ხილის სასიამოვნო სურნელით, ვიდრე საფუარის წმინდა კულტურის „რქაწითელი 61“-ით“ დადუღებული ღვინო-მასალა; ხოლო შენდეგ უკვე ღვინის დამწიფების პერიოდში ერთი წლის თავზე „რქაწითელი 61“-ით“ მიღებულ ღვინოებში გაიზარდა არომატული მქროლავი კომპონენტების რაოდენობა;
7. სტატიაში მოცემულია ვაზის ჯიშიდან - „ხიხვი“- მიღებული ყურძნის ფერმენტირებულ ჭაჭაზე (სხვადასხვა მეთოდით) დამზადებული ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინის სპექტროფოტომეტრული ანალიზი; ჭაჭის ხელოვნური ფერმენტაციისათვის ფიზიკურ აგენტად გამოყენებული იყო ფართო ზოლიანი ახლი ინფრაწითელი გამოსხივების დიაპაზონის და მუდმივი მაგნიტური ველის შერწყმული ერთობლივი ზემოქმედების ფაქტორი; გამოკვლევებით დადგინდა, რომ ჭაჭის დამუშავების ფიზიკური აგენტის ხვედრითი დოზის გაზრდასთან ერთად იზრდება ფენოლური ნაერთების შესაბამისი პიკის ექსტრენციის კოეფიციენტის მაჩვენებელი 13,48 -დან 14,36-მდე , რაც მიგვანიშნებს ფენოლურ ნაერთთა რაოდენობრივი მაჩვენებლების გაზრდაზე; ეს გარემოება მეტყველებს ჭაჭის დამუშავების ტექნიკური ხერხის ეფექტურობაზეც;
8. შესწავლილია ეგზოგენური ამილოლიზური ფცერმენტების აქტლობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე, და სხვ.; შესწავლილია ეგზოგენური ფერმენტებით გამოყენებული ბაცი ფერის ლუდის ფიზიკო-ქიმიური პარამეტრები;

ზარმაცილს დეპარტამენტი

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფ. ცინცაძე თამარ გივის ასული

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ცინცაძე თამარ – პროფ.,
გველესიანი ილია - პროფ.,
გელოვანი ნანა - პროფ.,
ცომაია ირმა - პროფ.,
ბაციკაძე ქეთევან - პროფ.,
გიგოშვილი თამარ- ასოც. პროფ.,
სალარეიშვილი თამარ- ასოც. პროფ.,
ჩიქავა მედეა- ასოც. პროფ.,
წიქარიშვილი ხათუნა- ასოც. პროფ.,
კახეთელიძე მზია - ასისტ. პროფ.,
მეტრეველი ირინე - ასისტ. პროფ.,
შაშიაშვილი ნანა – მოწვევლი სპეციალისტი,
ღუდუნუშვილი დარეჯან – მოწვევლი სპეციალისტი,
თარგამაძე ლიანა – მოწვევლი სპეციალისტი,
მიშელაშვილი ხათუნა – მოწვევლი სპეციალისტი (დოქტორანტი),
ნიშნიანიძე მარიამი – მოწვევლი სპეციალისტი (დოქტორანტი),

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლისათვის

დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

Nº	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	აბზინდას (<i>Artemisia absinthium</i>) ეთერზეთებისა და მწარე გლიკოზიდების იდენტიფიკაცია და კვლევა	ნ. გელოვანი	ნ. გელოვანი, მ. აბესაძე თ. ცინცაძე, ი. გველესიანი, ი. ცომაია, ქ. ბაციკაძე, თ. გიგოშვილი, ხ. წიქარიშვილი, ი. მეტრეველი, ლ. თარგამაძე, ხ. მიშელაშვილი, მ. ნიშნიანიძე, ღ. ღუდუნუშვილი

ანოტაცია

სამუშაო შესრულებულია შემდეგი გეგმის მიხედვით:

1. საქართველოში აბზინდას (*Artemisia absinthium*) სახეობების გავრცელების არეალის რეგის შედგენა. ლიტერატურის მოძიება.
2. საქართველოში გავრცელებული აბზინდას (*Artemisia absinthium*) სახეობების ფარმაკობოტანიკური დახასიათება. ნედლეულის შეგროვება და შრობა.
3. მცენარეული ნედლეულის ქიმიური შემადგენლობისა და ხალხურ-მეცნიერულ მედიცინაში მისი გამოყენების შესახებ მასალების მოძიება.
4. საქართველოში გავრცელებული აბზინდას (*Artemisia absinthium*) სხვადასხვა ნაწილებში ეთეროვანი ზეთების და მწარე გლიკოზიდების გამოცალკევება და იდენტიფიცირება.
5. მიღებული გამონაწვლილის გასუფთავება და ინდივიდუალური ნივთიერებების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების კვლევა.
6. საქართველოში გავრცელებული აბზინდას (*Artemisia absinthium*) ერთერთი სახეობის ტოქსიკურობის შესწავლა
7. საქართველოში გავრცელებული აბზინდას (*Artemisia absinthium*) ზოგიერთი სახეობიდან გალენური პრეპარატის მომზადება.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
2	გაზაფხულის ცხვირისატეხელას (<i>Adonis vernalis</i>) ციმარინის, ადონიტოქსინის და სხვა გლიკოზიდების იდენტიფიკაცია და კვლევა.	6. გელოვანი	6. გელოვანი, ი. იარდალაშვილი, თ. ცინცაძე, ი. გველესიანი, ი. ცომაია, ქ. ბაციკაძე, თ. გიგოშვილი, ხ. წიქარიშვილი, ი. მეტრეველი, ლ. თარგამაძე, ხ. მიშელაშვილი, მ. ნიშნიანიძე, დ. ღუღუნიშვილი

ანოტაცია

დადგენილია საქართველოში გაზაფხულის ცხვირისატეხელას (*Adonis vernalis*) სახეობების გავრცელების არეალი, მოძიებულია ლიტერატურული წყაროები; მოხდა საქართველოში გავრცელებული გაზაფხულის ცხვირისატეხელას (*Adonis vernalis*) სახეობების ფარმაკობოტანიკური დახასიათება, ნედლეულის შეგროვება და შრობა; მოძიებულია მასალები მცენარეული ნედლეულის ქიმიური შემადგენლობისა და ხალხურ-მეცნიერულ მედიცინაში მისი გამოყენების შესახებ; ჩატარდა საქართველოში გავრცელებული გაზაფხულის ცხვირისატეხელას (*Adonis vernalis*) სხვადასხვა ნაწილებიდან ეთეროვანი ზეთების და ციმარინის, ადონიტოქსინის და სხვა გლიკოზიდების გამოცალკევება და იდენტიფიცირება, მიღებული გამონაწვლილის გასუფთავება და ინდივიდუალური ნივთიერებების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების კვლევა; შესწავლილია ცხვირისატეხელას (*Adonis vernalis*) ტოქსიკურობა; მომზადდა გალენური პრეპარატი.

№	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
3	საქართველოში გავრცელებული ლემას (<i>Datura stramonium L.</i>) ეთერზეთებისა და ალკალოიდების იდენტიფიკაცია და კვლევა	ი. მეტრეველი	ი. მეტრეველი, ნ. ფოფხაძე, ნ.გელოვანი, თ. ცინცაძე, ი. გველესიანი, ი. ცომაია, ქ. ბაციკაძე, თ. გიგოშვილი, ხ. წიქარიშვილი, ლ. თარგამაძე, ხ. მიშელაშვილი, მ. ნიშნიანიძე, დ. დუღუნიშვილი

ანოტაცია

